ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-287623/07

" 12 " 08. 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის ტბის დასახლება, ნაკვ. №09/110/ ქ. თბილისი, ფერმწერთა ქუჩა №109 / ქ. თბილისი, ქუჩა გმანიერი, მიმდებარედ, ნაკვეთი 09/104 /ქ. თბილისი, ფერმწერთა ქ. №111-ში (საკ. კოდი №01.14.16.009.173) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სკოლის შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №2704542 11.07.2016წ. წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2709436 19.07.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის ტბის დასახლება, ნაკვ. №09/110/ ქ. თბილისი, ფერმწერთა ქუჩა №109 / ქ. თბილისი, ქუჩა გმანიერი, მიმდებარედ, ნაკვეთი 09/104 /ქ. თბილისი, ფერმწერთა ქ. №111-ში (საკ. კოდი №01.14.16.009.173) მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე კედლების ნაწილი მოპირკეთების ნაცვლად შელესილი და შეღებილია. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ვიტრაჟების, კარების და მოაჯირების ვიზუალი. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების, ვიტრაჟების და მინაბლოკების გაბარიტი. ნაწილობრივ გაზრდილია მოაჯირის სიმაღლე. „24-1" და „1-24" ფასადებზე „18-17" და „17-18" მონაკვეთებში გადახურვის ქვეშ გაუქმებულია ფანჯრები. ამავე ფასადებზე დეკორატიული +13.20 ნიშნულზე „5-4" და „4-5" მონაკვეთებში შემცირებულია ჰორიზონტალური ელემენტების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია გარე კიბეების საფეხურების რაოდენობა. „24-1" ფასადი: „24-23" მონაკვეთში გაუქმებულია საფეხურები. „7-6" მონაკვეთში კარის წინ გაუქმებულია ბაქანი.

„ა-ზ2" ფასადი: შენობის ძირში გაუქმებულია საყვავილე, შეცვლილია კედლის ნაწილის, კიბის და პანდუსის ძირის მოპირკეთების მასალა. გაზრდილია პანდუსის სიგრძე. +0.00 ნიშნულზე „ზ/1-ზ/1" ღერძთან შეცვლილია ღებვის ფერი და კარის ირგვლივ დეკორატიული მოპირკეთების ნაცვლად მოწყობილია თაბაშირ-მუყაოს ფილები. „ზ1-ზ2" მონაკვეთში შემცირებულია კიბის სიგანე. +5.30 ნიშნულზე „ე-ზ/2" მონაკვეთში შემცირებულია +0.00 და +5.30 ნიშნულებს შორის სხვაობა. +5.30 ნიშნულზე „ე-ზ1" მონაკვეთში მოწყობილია სარეკლამო ბანერი.

„1-24" ფასადი: შეცვლილია რელიეფის დონე. +3.30 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში კარ-ფანჯარაში შეცვლილია კარის ვიზუალი. „7-8" მონაკვეთში შეცვლილია მოპირკეთების გაბარიტი. „16-23" მონაკვეთში ნაწილობრივ ფანჯრების და მინაბლოკების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს, ზოგიერთი მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +4.93 ნიშნულზე ბაქნის ქვეშ მოწყობილია რიგელი.

„ზ/1-ბ" ფასადი: „ზ1-ზ1" ღერძთან შეცვლილია საფეხურის ფორმა, ვიტრაჟში ორფრთიანის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი. „დ-ბ" მონაკვეთში დამატებულია საფეხური და შეცვლილია მოაჯირების ფორმა. +5.30 ნიშნულზე „2-2" ღერძზე მოაჯირში დამატებულია კარი.

შენობის შიგნით „24-23" მონაკვეთში დამატებით შექმნილია 26მ2 ფართი. „11-101" მონაკვეთში სეისმურ ნაკერებს შორის მანძილის გაზრდის გამო კოლონების ნაწილი გადაადგილებულია. სახურავზე „12-11" მონაკვეთში მოწყობილია კონდიციონერების დანადგარები

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

და მისთვის განკუთვნილი ლითონის დეტალები. სახურავზე „8-7" მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის ფორმა და არ არის მოწყობილი ჰორიზონტალური ელემენტები.
„1-1" ჭრილი: „16-19" მონაკვეთში გადახურვის ქვეშ შეცვლილია ლითონის ფერმების ვიზუალი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ათასწლეულის სკოლა"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის ტბის დასახლება, ნაკვ. №09/110/ ქ. თბილისი, ფერმწერთა ქუჩა №109 / ქ. თბილისი, ქუჩა გმანიერი, მიმდებარედ, ნაკვეთი 09/104 /ქ. თბილისი, ფერმწერთა ქ. №111-ში (საკ. კოდი №01.14.16.009.173) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სკოლის შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №270911/07 29.07.2016წ. და №287623/07 11.08.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **ვლადიმერ ყუშიტაშვილი**